საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1783

2016 წლის 1 სექტემბერი

ქ. თბილისი

ყვარლის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში – დებულება) 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, აგრეთვე, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეების საცხოვრებელი სახლების შეკეთებისა და ეზოების კეთილმოწყობის მიზნით, ყვარლის მუნიციპალიტეტი 3 თვის ვადით გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 5 000 (ხუთი ათასი) $მ^3$ საშენი მასალა (ქვიშა-ხრეში) შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) ქალაქი ყვარელი – 2 000 $მ^3$ ქვიშა-ხრეში:

N	X	Y
1	565983	4643982
2	566033	4643974
3	566034	4643938
4	565980	4643943
S = 0,20 ჰა		
WGS 1984;		

ბ) სოფ. შილდა – 1 000 $მ^3$ ქვიშა-ხრეში:

N	X	Y
1	557038	4648480
2	557066	4648473
3	557049	4648441
4	557023	4648451
S = 0,10 ჰა		
WGS 1984;		

გ) სოფ. ბალღოჯიანი – 1 000 $მ^3$ ქვიშა-ხრეში:

N	X	Y
1	576215	4632128
2	576239	4632123
3	576218	4632083

4	576196	4632087
S = 0,103ა		
WGS 1984;		

დ) სოფ. ახალსოფელი – 1 000 მ³ ქვიშა-ხრეში:

N	X	Y
1	581087	4638329
2	581123	4638329
3	581125	4638301
4	581086	4638301
S = 0,11 ჰა		
WGS 1984.		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – ყვარლის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის.

3. დებულების 7[4] მუხლის 2[1] პუნქტის შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტმა, ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ოდენობის თანხების გადახდა:

ა) ქალაქ ყვარელში 2 000 მ³ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 348 ლარი;

ბ) სოფელ შილდაში 1 000 მ³ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 174 ლარი;

გ) სოფელ ბალღოჯიანში 1 000 მ³ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 174 ლარი;

დ) სოფელ ახალსოფელში 1 000 მ³ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 174 ლარი.

4. ყვარლის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში– გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

5. ყვარლის მუნიციპალიტეტმა, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან 2 კვირის ვადაში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**